

სს საქართველოს ბანკის (შემდგომში - ბანკი) საბარათე ინსტრუმენტით

საბარათე ოპერაციის შესრულებისას თანხის კონვერტაციის სქემები

1. **საბარათე ინსტრუმენტი - ბანკის მიერ ემიტირებული საგადახდო ინსტრუმენტი - საკრედიტო ბარათი და სადებეტო ბარათი**, რომლის საშუალებით გადამხდელს შეუძლია განახორციელოს საბარათე ოპერაციის ან/და ჩარიცხვის საბარათე ოპერაციის ინიცირება.
2. **საკრედიტო ბარათი - საბარათე ინსტრუმენტი**, რომელიც ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მის მფლობელს საშუალებას აძლევს: ა) საბარათე ოპერაციები განახორციელოს ბანკის მიერ მინიჭებული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში, გარდა ოვერდრაფტისა; ბ) შეასრულოს ჩარიცხვის საბარათე ოპერაციები.
3. **სადებეტო ბარათი - საბარათე ინსტრუმენტი**, რომელიც მის მფლობელს საშუალებას აძლევს ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე: ა) განკარგოს საბარათე ანგარიშზე არსებული ხელმისაწვდომი თანხები; ბ) შეასრულოს ჩარიცხვის საბარათე ოპერაციები.
4. **საბარათე ოპერაცია - საბარათე ინსტრუმენტით** (მათ შორის ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემებით) გადახდის ან/და განაღდების ოპერაცია.
5. **საბარათე ანგარიში - საბარათე ინსტრუმენტთან** დაკავშირებული საბანკო ანგარიშ(ებ)ი.
6. **ლოკალური საბარათე ოპერაცია - საბარათე ოპერაცია**, რომელიც სრულება/შესრულებულია ბანკის, ასევე სს ჯორჯიან ქარდის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204396377) საგადახდო სისტემაში ჩართული საბარათე ინფრასტრუქტურის საშუალებით.
7. **საერთაშორისო საბარათე ოპერაცია - საბარათე ოპერაცია**, რომელიც სრულება/შესრულებულია ბანკის ან/და სს ჯორჯიან ქარდის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204396377) საგადახდო სისტემის გარდა ნებისმიერი სხვა საბარათე ინფრასტრუქტურის საშუალებით (მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ).
8. **რეფანდის (Refund) ოპერაცია - საბარათე ოპერაციის** საფუძველზე შეძენილი პროდუქტის (საქონლის ან/და მომსახურების) უკან დაბრუნების გამო საბარათე ოპერაციის თანხის სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნების ოპერაცია.
9. **რევერსალის (Reversal) ოპერაცია - საბარათე ოპერაციის** გაუქმების გამო საბარათე ოპერაციის თანხის სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნების ოპერაცია.
10. **საბარათე ოპერაციის ინიცირების დღე** - დღე როდესაც საბარათე ინსტრუმენტის მეშვეობით განხორციელდა საბარათე ოპერაციის ინიცირება;
11. **საბარათე ოპერაციის შესრულების დღე** - დღე როდესაც განხორციელდა საბარათე ინსტრუმენტის მეშვეობით ინიცირებული საბარათე ოპერაციის შესრულება, საბარათე ანგარიშიდან (მათ შორის ლოკირებული) თანხის ჩამოჭრა;
12. **თანხის ბლოკირება - საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს საბარათე ოპერაციის** სათანადოდ შესრულების მიზნით, საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს, საბარათე ანგარიშზე, საბარათე ოპერაციის თანხის ბლოკირება/დაჯავშნა;
13. **ჩარიცხვის საბარათე ოპერაცია - საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ან უცხოური ფინანსური ინსტიტუტების** (მათ შორის საგადახდო მომსახურების პროვაიდერების) მიერ ემიტირებული საბარათე ინსტრუმენტიდან ან/და ციფრული არხის გამოყენებით (მათ შორის ვებ-გვერდი, ელექტრონული საფულე ან სხვა) საბარათე ინსტრუმენტის საბარათე ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის ოპერაცია (გარდა რეფანდის (Refund) ოპერაციის და რევერსალის (Reversal) ოპერაციისა).

14. **ლოკალური საბარათე ოპერაციის შემთხვევაში:**
- 14.1. მულტისავალუტო საბარათე ანგარიშის შემთხვევაში, როდესაც საბარათე ოპერაცია სრულდება საბარათე ანგარიშის ვალუტაში, მაგრამ საბარათე ოპერაციის ვალუტის შესაბამისი ვალუტის საბარათე ანგარიშზე არ არის საკმარისი რაოდენობის თანხა, საბარათე ოპერაციის თანხის ჩამოჭრა მთლიანად მაინც ხორციელდება აღნიშნული ანგარიშიდან, ხოლო დანაკლისი თანხის კონვერტირება განხორციელდება სხვა ვალუტის საბარათე ანგარიშზე არსებული თანხიდან, საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს, საბანკო დღის დახურვისას არსებული ბანკის კომერციული კურსით და შემდეგი ვალუტის პრიორიტეტულობის შესაბამისად: ლარი, აშშ დოლარი, ევრო და ბოლოს ფუნტი სტერლინგი, იმის გათვალისწინებით, რომ თავდაპირველი პრიორიტეტი არის ბარათის ძირითადი ვალუტა. ამასთან, საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს თანხის ბლოკირება განხორციელდება ბარათის ძირითადი ვალუტის საბარათე ანგარიშზე, საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს არსებული ბანკის კომერციული კურსით.
- 14.2. მულტისავალუტო საბარათე ანგარიშის შემთხვევაში, როდესაც საბარათე ოპერაცია სრულდება საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (არ არსებობს საბარათე ანგარიში საბარათე ოპერაციის ვალუტაში), მაშინ თანხის კონვერტაცია ხორციელდება სხვა ვალუტის საბარათე ანგარიშზე არსებული თანხიდან, საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს, საბანკო დღის დახურვისას, არსებული ბანკის კომერციული კურსით და შემდეგი ვალუტის პრიორიტეტულობის შესაბამისად: ლარი, აშშ დოლარი, ევრო და ბოლოს ფუნტი სტერლინგი, იმის გათვალისწინებით, რომ თავდაპირველი პრიორიტეტი არის ბარათის ძირითადი ვალუტა. ამასთან, საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს, თანხის ბლოკირება განხორციელდება ბარათის ძირითადი ვალუტის საბარათე ანგარიშზე, საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს არსებული ბანკის კომერციული კურსით.
- 14.3. ერთვალუტიანი საბარათე ანგარიშის შემთხვევაში, თუ საბარათე ოპერაცია სრულდება საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, საბარათე ანგარიშზე არსებული თანხა დაკონვერტირდება საბარათე ოპერაციის ვალუტაში შემდეგი პირობის შესაბამისად:
- 14.3.1. სადებეტო ბარათის შემთხვევაში - საბარათე ოპერაციის ინიცირების მომენტში არსებული ბანკის კომერციული კურსით;
- 14.3.2. საკრედიტო ბარათის შემთხვევაში - საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს არსებული ბანკის კომერციული კურსით. ამასთან, საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს, თანხის ბლოკირება განხორციელდება საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს არსებული ბანკის კომერციული კურსით.
- 14.4. რევერსალის (Reversal) ოპერაციის შესრულებისას საბარათე ანგარიშზე დაბრუნდება ზუსტად ის თანხა, რაც ჩამოიჭრა საბარათე ოპერაციის შესრულებისას.
- 14.5. რეფანდის (Refund) ოპერაციის შესრულებისას, ერთვალუტიანი საბარათე ანგარიშის შემთხვევაში, თანხის კონვერტაციის საჭიროებისას:
- 14.5.1. სადებეტო ბარათის შემთხვევაში, თანხა დაკონვერტირდება რეფანდის (Refund) ოპერაციის შესრულების მომენტში არსებული ბანკის კომერციული კურსით;
- 14.5.2. საკრედიტო ბარათის შემთხვევაში, თანხა დაკონვერტირდება თანხის ჩარიცხვის მომენტში არსებული ბანკის კომერციული კურსით.
- 14.6. საბარათე ინსტრუმენტით სარგებლობიდან გამომდინარე, ბანკის მიმართ წარმოშობილი დავალიანების დაფარვის შემთხვევაში, დავალიანების დაფარვის დროს თანხის კონვერტაციის საჭიროებისას, საბარათე ანგარიშიდან თანხა დაკონვერტირდება დავალიანების დაფარვის დღეს არსებული ბანკის კომერციული კურსით.

შენიშვნა: საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს არსებული და საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს არსებული კონვერტაციის კურსი შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, შესაბამისად შესაძლებელია კურსთა სხვაობის გამო

და საბარათე ოპერაციის სათანადოდ შესრულების მიზნით, საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს, საბარათე ანგარიშიდან ჩამოიჭრას საბარათე ოპერაციის ინიციირების დღეს ბლოკირებულ თანხაზე მეტი ოდენობის თანხა.

იმ შემთხვევაში თუ საბარათე ოპერაცია წარმოადგენს განაღდებას ოპერაციას, მაშინ გასათვალისწინებელია, რომ საბარათე ანგარიშიდან ასევე ჩამოიჭრება განაღდებას ოპერაციის შესრულებისთვის დადგენილი საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

იმ შემთხვევაში თუ საბარათე ოპერაციის შესრულებისთვის ექვარიერის მიერ დადგენილია საკომისიო, მაშინ აღნიშნული თანხა ჩამოიჭრება საბარათე ანგარიშიდან.

15. საერთაშორისო საბარათე ოპერაციის შემთხვევაში, როდესაც საერთაშორისო საბარათე ოპერაცია სრულდება VISA ან MasterCard საბარათე სქემაში ჩართული სადებეტო ბარათით ან American Express საბარათე სქემაში ჩართული American Express PLUS ან SOLO PLUS Card სადებეტო ბარათით:
 - 15.1. როდესაც საბარათე ოპერაცია სრულდება საბარათე ანგარიშის ვალუტაში, მაგრამ საბარათე ოპერაციის ვალუტის შესაბამისი ვალუტის საბარათე ანგარიშზე განთავსებული თანხა არ არის საკმარისი, მაშინ თანხის კონვერტაცია ხორციელდება სხვა ვალუტის საბარათე ანგარიშზე არსებული თანხიდან საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს, საბანკო დღის დახურვისას არსებული ბანკის კომერციული კურსით და შემდეგი ვალუტის პრიორიტეტულობის შესაბამისად: ლარი, აშშ დოლარი, ევრო და ბოლოს ფუნტი სტერლინგი, იმის გათვალისწინებით, რომ თავდაპირველი პრიორიტეტი არის ბარათის ძირითადი ვალუტა. ამასთან, საბარათე ოპერაციის ინიციირების დღეს თანხის ბლოკირება განხორციელდება ბარათის ძირითადი ვალუტის საბარათე ანგარიშზე, საბარათე ოპერაციის ინიციირების დღეს არსებული ბანკის კომერციული კურსით;
 - 15.2. თუ საბარათე ოპერაცია სრულდება საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (არ არსებობს საბარათე ანგარიში საბარათე ოპერაციის ვალუტაში), მაშინ კონვერტაციის საფუძველზე საბარათე ოპერაციის შესრულება ხდება შემდეგი პირობის შესაბამისად:
 - 15.2.1. თუ საბარათე ოპერაციის ვალუტა არის ევრო ან ფუნტი სტერლინგი, მაშინ საბარათე ოპერაციის თანხა და ბანკის კონვერტაციის საკომისიოს სახით დამატებული საბარათე ოპერაციის თანხის 2% ჩამოიჭრება საბარათე ანგარიშიდან (ძირითადი ვალუტიდან, შესაბამისი ევროს ან ფუნტის სტერლინგის ექვივალენტი), რომლის დროსაც კონვერტაცია ხორციელდება საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით. ამასთან, საბარათე ოპერაციის ინიციირების დღეს თანხის ბლოკირება განხორციელდება ბარათის ძირითადი ვალუტის საბარათე ანგარიშზე, საბარათე ოპერაციის ინიციირების დღეს არსებული ბანკის კომერციული კურსით;
 - 15.2.2. თუ საბარათე ოპერაციის ვალუტა არის ნებისმიერი სხვა ვალუტა გარდა ევროსი და ფუნტი სტერლინგის, მაშინ საბარათე ოპერაციის თანხის ექვივალენტს აშშ დოლარში* (თუ საბარათე ოპერაციის ვალუტა არის აშშ დოლარი, მაშინ საბარათე ოპერაციის თანხას), ბანკის კონვერტაციის საკომისიოს სახით დამატებული აშშ დოლარში განსაზღვრული საბარათე ოპერაციის თანხის 2%, ჩამოიჭრება საბარათე ანგარიშიდან (ძირითადი ვალუტიდან, შესაბამისი აშშ დოლარის ექვივალენტი), რომლის დროსაც საჭიროების შემთხვევაში კონვერტაცია ხორციელდება საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით. ამასთან, საბარათე ოპერაციის ინიციირების დღეს თანხის ბლოკირება განხორციელდება ბარათის ძირითადი ვალუტის საბარათე ანგარიშზე, საბარათე ოპერაციის ინიციირების დღეს არსებული ბანკის კომერციული კურსით.
 - 15.2.3. წინამდებარე დოკუმენტის 15.2.1 და 15.2.2. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში საბარათე ინსტრუმენტის ძირითად ვალუტაში საკმარისი თანხის არარსებობის შემთხვევაში, თანხის კონვერტაცია ხორციელდება სხვა ვალუტის საბარათე ანგარიშზე არსებული თანხიდან საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს, საბანკო დღის დახურვისას, არსებული ბანკის კომერციული კურსით და შემდეგი ვალუტის

პრიორიტეტულობის შესაბამისად: ლარი, აშშ დოლარი, ევრო და ბოლოს ფუნტი სტერლინგი. ამასთან, საბარათე ანგარიშზე საკმარისი თანხის არარსებობის შემთხვევაში საბარათე ანგარიშიდან თანხა ჩამოიჭრება ოვერდრაფტის დაშვების ხარჯზე.

მაგალითი:

საბარათე ოპერაციის (გადახდის ოპერაციის) თანხა: 56.50 შვეიცარული ფრანკი;

საბარათე ოპერაციის ინიცირების დღე: 29 ივლისი 2022 წელი;

საბარათე ოპერაციის შესრულების დღე: 31 ივლისი 2022 წელი;

საბარათე ანგარიშიდან ჩამოჭრილი თანხა: 167.38 ლარი;

საბარათე ანგარიშის ვალუტა: ლარი, აშშ დოლარი, ევრო, ფუნტი სტერლინგი;

საბარათე ანგარიშზე ხელმისაწვდომი თანხა: ლარი;

ბრათის ძირითადი ვალუტა: ლარი.

საბარათე ოპერაციის თანხის კონვერტაციის სქემა:

- საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს საბარათე ოპერაციის თანხის ექვივალენტი 167.75 ლარის ოდენობით ბანკის კომერციული კურსით 2.969 დაიბლოკა საბარათე ანგარიშზე;
- საბარათე ოპერაციის შესრულების დღისთვის საბარათე სქემის მიერ საბარათე ოპერაციის თანხა აშშ დოლარში განისაზღვრა 59.24 აშშ დოლარის ოდენობით, საბარათე სქემის კურსით 1.0485;
- საბარათე სქემის მიერ აშშ დოლარში განსაზღვრულ საბარათე ოპერაციის თანხას 59.24 აშშ დოლარის ოდენობით, დაემატა ბანკის კონვერტაციის საკომისიო 2%, 1.18 აშშ დოლარის ოდენობით და საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს საბარათე ანგარიშზე დაბლოკილი თანხიდან ჩამოიჭრა 60.42 აშშ დოლარის ექვივალენტი 167.38 ლარი საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით 2.7703;

15.3. რევერსალის (Reversal) ოპერაციის შემთხვევაში თანხა ბრუნდება იმ ვალუტის საბარათე ანგარიშზე, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა საბარათე ოპერაცია. ამასთან:

15.3.1. თუ რევერსალის (Reversal) ოპერაცია სრულდება საბარათე ოპერაციის სრულ თანხაზე საბარათე ანგარიშზე დაბრუნდება ზუსტად ის თანხა, რაც ჩამოიჭრა საბარათე ოპერაციის შესრულებისას;

15.3.2. თუ რევერსალის (Reversal) ოპერაცია სრულდება საბარათე ოპერაციის ნაწილ თანხაზე, მაშინ რევერსალის (Reversal) ოპერაცია სრულდება საბარათე ოპერაციის შესრულებისას განხორციელებული კონვერტაციის პირობების უკუმიმართულებით, იმ განსხვავებით, რომ ასეთ შემთხვევაში კონვერტაციის საკომისიო დაბრუნებას არ ექვემდებარება.

15.4. რეფანდის (Refund) ოპერაციის შემთხვევაში, თუ რეფანდის (Refund) ოპერაცია სრულდება საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (არ არსებობს საბარათე ანგარიში რეფანდის (Refund) ოპერაციის ვალუტაში), მაშინ:

15.4.1. თუ რეფანდის (Refund) ოპერაციის ვალუტა არის ევრო ან ფუნტი სტერლინგი, მაშინ რეფანდის (Refund) ოპერაციის თანხას გამოკლებული ბანკის კონვერტაციის საკომისიო რეფანდის (Refund) ოპერაციის თანხის 2% ჩაირიცხება საბარათე ანგარიშზე (ძირითადი ვალუტის ანგარიშზე, შესაბამისი ევროს ან ფუნტი

სტერლინგის ექვივალენტი), რომლის დროსაც კონვერტაცია ხორციელდება თანხის ჩარიცხვის მომენტში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით. ამასთან, **საბარათე ოპერაციის** შესრულებისთვის, **საბარათე ანგარიშიდან** ჩამოჭრილი **ბანკის** კონვერტაციის საკომისიო დაბრუნებას არ ექვემდებარება.

15.4.2. თუ **რეფანდის (Refund) ოპერაციის** ვალუტა არის ნებისმიერი სხვა ვალუტა გარდა ევროსი და ფუნტი სტერლინგის, მაშინ **რეფანდის (Refund) ოპერაციის** თანხის ექვივალენტს აშშ დოლარში* (თუ **რეფანდის (Refund) ოპერაციის** ვალუტა არის აშშ დოლარი, მაშინ **რეფანდის (Refund) ოპერაციის** თანხა) გამოკლებული **ბანკის** კონვერტაციის საკომისიო აშშ დოლარში განსაზღვრული **რეფანდის (Refund) ოპერაციის** თანხის 2% ჩარიცხება **საბარათე ანგარიშზე** (ძირითადი ვალუტის ანგარიშზე, შესაბამისი აშშ დოლარის ექვივალენტი), რომლის დროსაც საჭიროების შემთხვევაში კონვერტაცია ხორციელდება თანხის ჩარიცხვის მომენტში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით. ამასთან, **საბარათე ოპერაციის** შესრულებისთვის, **საბარათე ანგარიშიდან** ჩამოჭრილი **ბანკის** კონვერტაციის საკომისიო დაბრუნებას არ ექვემდებარება.

მაგალითი:

საბარათე ოპერაციის (გადახდის ოპერაციის) თანხა: 50 შვეიცარული ფრანკი;

საბარათე ოპერაციის ინიცირების დღე: 1 ივლისი 2022 წელი;

საბარათე ოპერაციის შესრულების დღე: 2 ივლისი 2022 წელი;

საბარათე ანგარიშიდან ჩამოჭრილი თანხა: 155.62 ლარი;

საბარათე ანგარიშის ვალუტა: ლარი, აშშ დოლარი, ევრო, ფუნტი სტერლინგი;

საბარათე ანგარიშზე ხელმისაწვდომი თანხა: ლარი;

ბარათის ძირითადი ვალუტა: ლარი.

საბარათე ოპერაციის თანხის კონვერტაციის სქემა:

- **საბარათე ოპერაციის** ინიცირების დღეს **საბარათე ოპერაციის** თანხის ექვივალენტი 156.36 ლარის ოდენობით **ბანკის** კომერციული კურსით 3.1272 დაიბლოკა **საბარათე ანგარიშზე**;
- **საბარათე ოპერაციის** შესრულების დღისთვის **საბარათე** სქემის მიერ **საბარათე ოპერაციის** თანხა აშშ დოლარში განისაზღვრა 52.47 აშშ დოლარის ოდენობით, **საბარათე** სქემის კურსით 1.0494;
- **საბარათე** სქემის მიერ აშშ დოლარში განსაზღვრულ **საბარათე ოპერაციის** თანხას 52.47 აშშ დოლარის ოდენობით, დაემატა **ბანკის** კონვერტაციის საკომისიო 2%, 1.05 აშშ დოლარის ოდენობით და **საბარათე ოპერაციის** შესრულების დღეს **საბარათე ანგარიშზე** დაბლოკილი თანხიდან ჩამოიჭრა 53.52 აშშ დოლარის ექვივალენტი 155.62 ლარი საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით 2.9077.

ზემოაღნიშნული პირობების შესაბამისად **რეფანდის (Refund) ოპერაციის** კონვერტაციის სქემა:

რეფანდის (Refund) ოპერაციის ინიცირების დღე: 1 ივლისი 2022;

რეფანდის (Refund) ოპერაციის შესრულების დღე: 6 ივლისი 2022.

- რეფანდის (Refund) ოპერაციის შესრულების დღისთვის საბარათე სქემის მიერ რეფანდის (Refund) ოპერაციის თანხა აშშ დოლარში განისაზღვრა 51.71 აშშ დოლარის ოდენობით, საბარათე სქემის კურსით 1.0341;
- საბარათე სქემის მიერ აშშ დოლარში განსაზღვრულ რეფანდის (Refund) ოპერაციის თანხას - 51.71 აშშ დოლარს, გამოაკლდა ბანკის კონვერტაციის საკომისიო 2%, 1.0342 აშშ დოლარის ოდენობით და 50,6758 აშშ დოლარის ექვივალენტი 145,49 ლარი, საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით 2.871 ჩაირიცხა საბარათე ანგარიშზე.

შენიშვნა: საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს არსებული და საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს არსებული კონვერტაციის კურსი შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, შესაბამისად შესაძლებელია კურსთა სხვაობის გამო და საბარათე ოპერაციის სათანადოდ შესრულების მიზნით, საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს, საბარათე ანგარიშიდან ჩამოიჭრას საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს ბლოკირებულ თანხაზე მეტი ოდენობის თანხა.

იმ შემთხვევაში თუ საბარათე ოპერაცია წარმოადგენს განაღდებას ოპერაციას, მაშინ გასათვალისწინებელია, რომ საბარათე ანგარიშიდან ასევე ჩამოიჭრება განაღდებას ოპერაციის შესრულებისთვის დადგენილი საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

იმ შემთხვევაში თუ საბარათე ოპერაციის შესრულებისთვის ექვივალენტის მიერ დადგენილია საკომისიო, მაშინ აღნიშნული თანხა ჩამოიჭრება საბარათე ანგარიშიდან.

**საბარათე ოპერაციის თანხის ექვივალენტის დადგენა ხდება საბარათე სქემის წესების შესაბამისად, რომლის კონვერტაციის კურსების შესახებ ინფორმაციაც მოცემულია შემდეგ ვებ-გვერდის მისამართზე:*

VISA-ს შემთხვევაში: <https://usa.visa.com/support/consumer/travel-support/exchange-rate-calculator.html>;

MasterCard-ის შემთხვევაში: <https://www.mastercard.us/en-us/personal/get-support/convert-currency.html>;

American Express-ის შემთხვევაში: <https://bankofgeorgia.ge/ka/retail/cards#creditcards>;

ბანკის კომერციული კურსების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ ბანკსა და მობილ ბანკში, ასევე ბანკის ვებ-გვერდზე www.bankofgeorgia.ge.

16. საერთაშორისო საბარათე ოპერაციის შემთხვევაში, როდესაც საერთაშორისო საბარათე ოპერაცია სრულდება VISA ან MasterCard საბარათე სქემაში ჩართული საკრედიტო ბარათით:
 - 16.1. იმ შემთხვევაში თუ საბარათე ოპერაცია სრულდება საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (არ არსებობს საბარათე ანგარიში საბარათე ოპერაციის ვალუტაში), მაშინ კონვერტაციის საფუძველზე, საბარათე ოპერაცია სრულდება შემდეგი პირობის შესაბამისად:
 - 16.1.1. თუ საბარათე ოპერაციის ვალუტა არის ევრო ან ფუნტი სტერლინგი, მაშინ საბარათე ოპერაციის თანხა ჩამოიჭრება საბარათე ანგარიშიდან (შესაბამისი ევროს ან ფუნტი სტერლინგის ექვივალენტი), რომლის დროსაც კონვერტაცია განხორციელდება საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს არსებული ბანკის კომერციული კურსით. ამასთან, საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს თანხის ბლოკირება განხორციელდება საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს არსებული ბანკის კომერციული კურსით;
 - 16.1.2. თუ საბარათე ოპერაციის ვალუტა არის ნებისმიერ სხვა ვალუტა გარდა ევროსი და ფუნტი სტერლინგის, მაშინ საბარათე ოპერაციის თანხის ექვივალენტი აშშ დოლარში* (თუ საბარათე ოპერაციის ვალუტა არის აშშ

დოლარი, მაშინ **საბარათე ოპერაციის** თანხა) ჩამოიჭრება **საბარათე ანგარიშიდან**, რომლის დროსაც საჭიროების შემთხვევაში კონვერტაცია განხორციელდება **საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს** არსებული **ბანკის** კომერციული კურსით. ამასთან, **საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს** თანხის **ბლოკირება** განხორციელდება **საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს** არსებული **ბანკის** კომერციული კურსით.

შენიშვნა: ამ პუნქტის მიზნებისთვის Express Card მიიჩნება როგორც **საკრედიტო ბარათი**.

16.2. წინამდებარე **დოკუმენტის 16.1. პუნქტით** გათვალისწინებულ შემთხვევაში, **საბარათე ანგარიშზე** საკმარისი თანხის არარსებობის შემთხვევაში, **საბარათე ანგარიშიდან** თანხა ჩამოიჭრება ოვერდრაფტის დაშვების ხარჯზე.

მაგალითი:

საბარათე ოპერაციის (გადახდის ოპერაციის) თანხა: 56.50 შვეიცარული ფრანკი;

საბარათე ოპერაციის ინიცირების დღე: 1 ივლისი 2022 წელი;

საბარათე ოპერაციის შესრულების დღე: 2 ივლისი 2022 წელი;

საბარათე ანგარიშიდან ჩამოჭრილი თანხა: 60.42 აშშ დოლარი;

საბარათე ანგარიშის ვალუტა: აშშ დოლარი;

საბარათე ანგარიშზე ხელმისაწვდომი თანხა: აშშ დოლარი;

საბარათე ოპერაციის თანხის კონვერტაციის სქემა:

- **საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს** **საბარათე ოპერაციის** თანხის ექვივალენტი 59.83 აშშ დოლარის ოდენობით **ბანკის** კომერციული კურსით 0.9443 დაიბლოკა **საბარათე ანგარიშზე**;
- **საბარათე ოპერაციის შესრულების დღისთვის** საბარათე სქემის მიერ **საბარათე ოპერაციის** თანხა აშშ დოლარში განისაზღვრა 59.24 აშშ დოლარის ოდენობით, საბარათე სქემის კურსით 1.0485;
- საბარათე სქემის მიერ აშშ დოლარში განსაზღვრულ **საბარათე ოპერაციის** თანხას 59.24 აშშ დოლარის ოდენობით, დაემატა **ბანკის** კონვერტაციის საკომისიო 2%, 1.18 აშშ დოლარის ოდენობით და **საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს** **საბარათე ანგარიშიდან** ჩამოიჭრა 60.42 აშშ დოლარი (**საბარათე ანგარიშზე** დაბლოკილი თანხა სრულად და კურსთა სხვაობის გამო **საბარათე ოპერაციის** სათანადოდ შესრულების მიზნით საჭირო თანხა).

16.3. **რევერსალის (Reversal) ოპერაციის** შემთხვევაში თანხა ბრუნდება **საბარათე ანგარიშზე**. ამასთან:

16.3.1. თუ **რევერსალის (Reversal) ოპერაცია** სრულდება **საბარათე ოპერაციის** სრულ თანხაზე **საბარათე ანგარიშზე** დაბრუნდება ზუსტად ის თანხა, რაც ჩამოიჭრა **საბარათე ოპერაციის** შესრულების დროს;

16.3.2. თუ **რევერსალის (Reversal) ოპერაცია** სრულდება **საბარათე ოპერაციის** ნაწილ თანხაზე, მაშინ **რევერსალის (Reversal) ოპერაცია** სრულდება **საბარათე ოპერაციის** შესრულებისას განხორციელებული კონვერტაციის პირობების უკუმიმართულებით, იმ განსხვავებით, რომ ასეთ შემთხვევაში კონვერტაციის საკომისიო დაბრუნებას არ ექვემდებარება.

16.4. თუ **რეფანდის (Refund) ოპერაცია** სრულდება **საბარათე ანგარიშის** ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (არ არსებობს **საბარათე ანგარიში რეფანდის (Refund) ოპერაციის** ვალუტაში), მაშინ:

16.4.1. თუ რეფანდის (Refund) ოპერაციის ვალუტა არის ევრო ან ფუნტი სტერლინგი, მაშინ რეფანდის (Refund) ოპერაციის თანხა ჩაირიცხება საბარათე ანგარიშზე (შესაბამისი ევროს ან ფუნტი სტერლინგის ექვივალენტი), რომლის დროსაც კონვერტაცია ხორციელდება თანხის ჩარიცხვის მომენტში არსებული ბანკის კომერციული კურსით. ამასთან, საბარათე ოპერაციის შესრულებისთვის, საბარათე ანგარიშიდან ჩამოჭრილი ბანკის კონვერტაციის საკომისიო დაბრუნებას არ ექვემდებარება.

16.4.2. თუ რეფანდის (Refund) ოპერაციის ვალუტა არის ნებისმიერი სხვა ვალუტა გარდა ევროსი და ფუნტი სტერლინგის, მაშინ რეფანდის (Refund) ოპერაციის თანხის ექვივალენტი აშშ დოლარში* (თუ საბარათე ოპერაციის ვალუტა არის აშშ დოლარი, მაშინ რეფანდის (Refund) ოპერაციის თანხა) ჩაირიცხება საბარათე ანგარიშზე, რომლის დროსაც, საჭიროების შემთხვევაში, კონვერტაცია ხორციელდება თანხის ჩარიცხვის მომენტში არსებული ბანკის კომერციული კურსით. ამასთან, საბარათე ოპერაციის შესრულებისთვის, საბარათე ანგარიშიდან ჩამოჭრილი ბანკის კონვერტაციის საკომისიო დაბრუნებას არ ექვემდებარება.

შენიშვნა: საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს არსებული და საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს არსებული კონვერტაციის კურსი შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, შესაბამისად შესაძლებელია კურსთა სხვაობის გამო და საბარათე ოპერაციის სათანადოდ შესრულების მიზნით, საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს, საბარათე ანგარიშიდან ჩამოიჭრას საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს ბლოკირებულ თანხაზე მეტი ოდენობის თანხა.

იმ შემთხვევაში თუ საბარათე ოპერაცია წარმოადგენს განაღდებას ოპერაციას, მაშინ გასათვალისწინებელია, რომ საბარათე ანგარიშიდან ასევე ჩამოიჭრება განაღდებას ოპერაციის შესრულებისთვის დადგენილი საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

იმ შემთხვევაში თუ საბარათე ოპერაციის შესრულებისთვის ექვივალენტის მიერ დადგენილია საკომისიო, მაშინ აღნიშნული თანხა ჩამოიჭრება საბარათე ანგარიშიდან.

**საბარათე ოპერაციის თანხის ექვივალენტის დადგენა ხდება საბარათე სქემის წესების შესაბამისად, რომლის კონვერტაციის კურსების შესახებ ინფორმაცია მოცემულია შემდეგ ვებ-გვერდის მისამართზე:*

VISA-ს შემთხვევაში: <https://usa.visa.com/support/consumer/travel-support/exchange-rate-calculator.html>;

MasterCard-ის შემთხვევაში: <https://www.mastercard.us/en-us/personal/get-support/convert-currency.html>;

American Express-ის შემთხვევაში: <https://bankofgeorgia.ge/ka/retail/cards#creditcards>;

ბანკის კომერციული კურსების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ ბანკსა და მობილ ბანკში, ასევე ბანკის ვებ-გვერდზე www.bankofgeorgia.ge.

17. საერთაშორისო საბარათე ოპერაციის შემთხვევაში, როდესაც საერთაშორისო საბარათე ოპერაცია სრულდება American Express საბარათე სქემაში ჩართული საკრედიტო ბარათით ან American Express საბარათე სქემაში ჩართული American Express Rewards Card სადებეტო ბარათით:

17.1. იმ შემთხვევაში თუ საბარათე ოპერაცია სრულდება საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (არ არსებობს საბარათე ანგარიში საბარათე ოპერაციის ვალუტაში), მაშინ კონვერტაციის საფუძველზე, საბარათე ოპერაციის შესრულება შემდეგი პირობის შესაბამისად:

17.1.1. თუ საბარათე ოპერაციის ვალუტა არის აშშ დოლარი, მაშინ საბარათე ოპერაციის თანხას დამატებული ბანკის კონვერტაციის საკომისიო საბარათე ოპერაციის თანხის 2%, ჩამოიჭრება საბარათე ანგარიშიდან (შესაბამისი აშშ დოლარის ექვივალენტი), რომლის დროსაც კონვერტაცია ხორციელდება საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი

ოფიციალური კურსით. ამასთან, **საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს თანხის ბლოკირება** განხორციელდება **საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს** არსებული **ბანკის** კომერციული კურსით.

17.1.2. თუ **საბარათე ოპერაციის** ვალუტა არის ევრო ან ფუნტი სტერლინგი და წარმოადგენს განაღდებას ოპერაციას, მაშინ **საბარათე ოპერაციის** თანხას დამატებული **ბანკის** კონვერტაციის საკომისიო **საბარათე ოპერაციის** თანხის 2%, ჩამოიჭრება **საბარათე ანგარიშიდან** (შესაბამისი ევროს/ფუნტის ექვივალენტი), რომლის დროსაც კონვერტაცია ხორციელდება **საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს** არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით. ამასთან, **საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს** თანხის **ბლოკირება** განხორციელდება **საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს** არსებული **ბანკის** კომერციული კურსით.

17.1.3. თუ **საბარათე ოპერაციის** ვალუტა არის ევრო ან ფუნტი სტერლინგი და წარმოადგენს გადახდის ოპერაციას, მაშინ **საბარათე ოპერაციის** თანხის ექვივალენტს აშშ დოლარში*, დამატებული **ბანკის** კონვერტაციის საკომისიო აშშ დოლარში განსაზღვრული **საბარათე ოპერაციის** თანხის 2% ჩამოიჭრება **საბარათე ანგარიშიდან** (შესაბამისი აშშ დოლარის ექვივალენტი), რომლის დროსაც კონვერტაცია ხორციელდება **საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს** არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით. ამასთან, **საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს** თანხის **ბლოკირება** განხორციელდება **საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს** არსებული **ბანკის** კომერციული კურსით.

17.1.4. თუ **საბარათე ოპერაციის** ვალუტა არის ნებისმიერ ვალუტა გარდა აშშ დოლარის, ფუნტი სტერლინგის და ევროსი, მაშინ **საბარათე ოპერაციის** თანხის ექვივალენტს აშშ დოლარში* დამატებული **ბანკის** კონვერტაციის საკომისიო აშშ დოლარში განსაზღვრული **საბარათე ოპერაციის** თანხის 2%, ჩამოიჭრება **საბარათე ანგარიშიდან** (შესაბამისი აშშ დოლარის ექვივალენტი), რომლის დროსაც საჭიროების შემთხვევაში კონვერტაცია ხორციელდება **საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს** არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით. ამასთან, **საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს** თანხის **ბლოკირება** განხორციელდება **საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს** არსებული **ბანკის** კომერციული კურსით.

17.2. წინამდებარე დოკუმენტის 17.1.1, 17.1.2., 17.1.3. და 17.1.4. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, **საბარათე ანგარიშზე** საკმარისი თანხის არარსებობის შემთხვევაში საბარათე ანგარიშიდან თანხა ჩამოიჭრება ოვერდრაფტის დაშვების ხარჯზე.

17.3. **რევერსალის (Reversal) ოპერაციის** შემთხვევაში თანხა ბრუნდება **საბარათე ანგარიშზე**. ამასთან:

17.3.1. თუ **რევერსალის (Reversal) ოპერაცია** სრულდება **საბარათე ოპერაციის** სრულ თანხაზე **საბარათე ანგარიშზე** დაბრუნდება ზუსტად ის თანხა, რაც ჩამოიჭრა **საბარათე ოპერაციის** შესრულების დროს;

17.3.2. თუ **რევერსალის (Reversal) ოპერაცია** სრულდება **საბარათე ოპერაციის** ნაწილ თანხაზე, მაშინ **რევერსალის (Reversal) ოპერაცია** სრულდება **საბარათე ოპერაციის** შესრულებისას განხორციელებული კონვერტაციის პირობების უკუმიმართულებით, იმ განსხვავებით, რომ ასეთ შემთხვევაში კონვერტაციის საკომისიო დაბრუნებას არ ექვემდებარე.

17.4. **რეფანდის (Refund) ოპერაციის** შემთხვევაში, თუ **რეფანდის (Refund) ოპერაცია** სრულდება **საბარათე ანგარიშის** ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (არ არსებობს **საბარათე ანგარიში რეფანდის (Refund) ოპერაციის** ვალუტაში), მაშინ:

17.4.1. თუ **რეფანდის (Refund) ოპერაციის** ვალუტა არის აშშ დოლარი, მაშინ **რეფანდის (Refund) ოპერაციის** თანხას გამოკლებული **ბანკის** კონვერტაციის საკომისიო **რეფანდის (Refund) ოპერაციის** თანხის 2% ჩაირიცხება **საბარათე ანგარიშზე** (შესაბამისი აშშ დოლარის ექვივალენტი), რომლის დროსაც კონვერტაცია ხორციელდება თანხის ჩაირიცხვის მომენტში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით. ამასთან, **საბარათე ოპერაციის** შესრულებისთვის, **საბარათე ანგარიშიდან** ჩამოჭრილი **ბანკის** კონვერტაციის საკომისიო დაბრუნებას არ ექვემდებარება.

17.4.2. თუ რეფანდის (Refund) ოპერაციის ვალუტა არის ნებისმიერი ვალუტა გარდა აშშ დოლარისა, მაშინ რეფანდის (Refund) ოპერაციის თანხის ექვივალენტს აშშ დოლარში* გამოკლებული ბანკის კონვერტაციის საკომისიო აშშ დოლარში განსაზღვრული რეფანდის (Refund) ოპერაციის თანხის 2% ჩაირიცხება საბარათე ანგარიშზე (შესაბამისი აშშ დოლარის ექვივალენტი), რომლის დროსაც საჭიროების შემთხვევაში კონვერტაცია ხორციელდება თანხის ჩაირიცხვის მომენტში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით. ამასთან, საბარათე ოპერაციის შესრულებისთვის, საბარათე ანგარიშიდან ჩამოჭრილი ბანკის კონვერტაციის საკომისიო დაბრუნებას არ ექვემდებარება.

შენიშვნა: საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს არსებული და საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს არსებული კონვერტაციის კურსი შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, შესაბამისად შესაძლებელია კურსთა სხვაობის გამო და საბარათე ოპერაციის სათანადოდ შესრულების მიზნით, საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს, საბარათე ანგარიშიდან ჩამოჭრას საბარათე ოპერაციის ინიცირების დღეს ბლოკირებულ თანხაზე მეტი ოდენობის თანხა.

იმ შემთხვევაში თუ საბარათე ოპერაცია წარმოადგენს განაღების ოპერაციას, მაშინ გასათვალისწინებელია, რომ საბარათე ანგარიშიდან ასევე ჩამოიჭრება განაღების ოპერაციის შესრულებისთვის დადგენილი საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

იმ შემთხვევაში თუ საბარათე ოპერაციის შესრულებისთვის ექვივალენტის მიერ დადგენილია საკომისიო, მაშინ აღნიშნული თანხა ჩამოიჭრება საბარათე ანგარიშიდან.

**საბარათე ოპერაციის თანხის ექვივალენტის დადგენა ხდება საბარათე სერვისის წესების შესაბამისად, რომლის კონვერტაციის კურსების შესახებ ინფორმაცია მოცემულია შემდეგ ვებ-გვერდის მისამართზე:*

VISA-ს შემთხვევაში: <https://usa.visa.com/support/consumer/travel-support/exchange-rate-calculator.html>;

MasterCard-ის შემთხვევაში: <https://www.mastercard.us/en-us/personal/get-support/convert-currency.html>;

American Express-ის შემთხვევაში: <https://bankofgeorgia.ge/ka/retail/cards#creditcards>;

ბანკის კომერციული კურსების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ ბანკსა და მობილ ბანკში, ასევე ბანკის ვებ-გვერდზე www.bankofgeorgia.ge.

18. ჩარიცხვის საბარათე ოპერაციის შემთხვევაში, როდესაც ჩარიცხვის საბარათე ოპერაცია სრულდება Visa, Mastercard ან American Express საბარათე ინსტრუმენტის (საკრედიტო ბარათის ან სადებეტო ბარათის) საბარათე ანგარიშზე და ჩარიცხვის საბარათე ოპერაცია სრულდება საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (არ არსებობს საბარათე ანგარიში ჩარიცხვის საბარათე ოპერაციის ვალუტაში), მაშინ:

18.1. მულტისავალუტო საბარათე ანგარიშის შემთხვევაში, კონვერტაციის საფუძველზე, ჩარიცხვის საბარათე ოპერაცია შესრულდება (თანხა ჩაირიცხება) იმ ვალუტის საბარათე ანგარიშზე, რომელიც საბარათე ინსტრუმენტთან მიმართებით განსაზღვრულია ძირითად ვალუტად, რა დროსაც კონვერტაცია განხორციელდება ჩარიცხვის საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს არსებული ბანკის კომერციული კურსით.

18.2. ერთვალუტიანი საბარათე ანგარიშის შემთხვევაში, კონვერტაციის საფუძველზე, ჩარიცხვის საბარათე ოპერაცია შესრულდება (თანხა ჩაირიცხება) საბარათე ინსტრუმენტის საბარათე ანგარიშის შესაბამის ვალუტაში, რა დროსაც კონვერტაცია განხორციელდება ჩარიცხვის საბარათე ოპერაციის შესრულების დღეს არსებული ბანკის კომერციული კურსით.

მაგალითი:

ჩარიცხვის საბარათე ოპერაციის თანხა: 100 შვეიცარული ფრანკი;

ჩარიცხვის საბარათე ოპერაციის შესრულების დღე: 23 ივლისი 2023 წელი;

საბარათე ანგარიშის ვალუტა: ლარი, აშშ დოლარი, ევრო, ფუნტი სტერლინგი;

ბარათის ძირითადი ვალუტა: ლარი;

ჩარიცხვის საბარათე ოპერაციის თანხის კონვერტაციის სქემა: ჩარიცხვის საბარათე ოპერაციის თანხის ექვივალენტი 296,80 ლარის ოდენობით, **ბანკის** კომერციული კურსით 2.968 ჩარიცხება **საბარათე ანგარიშზე**.

*ბანკის კომერციული კურსების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ **ბანკის** ინტერნეტ ბანკსა და მობილ ბანკში, ასევე **ბანკის** ვებ-გვერდზე www.bankofgeorgia.ge.*